



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 231

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის №194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 30.11.2015 წლის N5/64811 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის №194 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების N3 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/N3 დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურის
ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი

№	სასაქონლო მატერიალური ფასეულობის დასახელება	განზომილება	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება 2014 წლის 1 იანვრისათვის		ექსპლუა ტაციაში შესვლის თარიღი	მისამართი	საკადასტრო კოდის N
				რაოდენობა	თანხა			
	N 2121 ანგარიში							
1	სახანძრო შენობა მიწით	ცალი		1	254807,00		ტაბიძის ქუჩა № 38	03.04.24.299
2	სახანძრო შენობა მიწით	ცალი		1	473246,00		წერეთლის ქუჩა № 167	03.06.22.092
3	სახანძრო შენობა მიწით	ცალი		1	564469,00		ავტომშენებლის ქუჩა № 33	03.01.23.097
	ჯამი			3	1295780,53			

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი